ბრძანება:**ბ36.362221019**
თარიღი:**29/07/2022**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში ბულვარის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად შექმნილი ქონების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე აყვანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2022 წლის 20 ივნისს გაფორმებული ქონების/ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი NGOC/ET/CW/429-1 საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში ბულვარის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად შექმნილი ქონება აყვანილი იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, სულ ღირებულებით 5,683,212,23 (ხუთი მილიონ ექვსას ოთხმოცდასამიათას ორასთორმეტი ლარი და 23/100) ლარი. 20.06.2022წ. NGOC/ET/CW/429-ქონების/ ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესრულებული სამუშაოების აქტი N2 შესაბამისად (დანართები თან ერთვის ბრძანებას).

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ავთანდილ თალაკვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი